№ 234 ნოემბერი 8, კვირა — 1887 — ნოემბერი 8, კვირა № 234


| ბაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ჩიდღეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

ნაცვლად იმა განცხადებისა, რომელიც აქაურ გაზეთებში იყო დაბეჭდილი **დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის** სახლობისაგან, იგი სახლობა ამით აცხადებს, რომ გვამს განსვენებულისას მოასვენებენ ტფილისში დღეს, ნოემბრის რვას, და იმავე დღეს, დილის 11 საათზე, წამოასვენებენ ვერიდამ მთაწმინდას, მამა დავითის ეკკლესიაში.

ტფილისი, 7 ნოემბერი

უფროს-ერთი ადამიანი ისე გაივლის ხოლმე თავის ცხოვრების გზასა, ისე დაჰქლევს ხოლმე თავის სიცოცხლეს, რომ ერთხელაც არ ჩაახედებს თავის თვალს გულში იმის გამოსარკვევად თუ,—რისთვის ვიყავ, რისთვისა ვარ და რა გამიკეთებიაო. ესე მიდის და იელევა ცხოვრება ათასისა და ათი ათასისა. მარტო ათასში ერთი თუ იქნება იმისთანა, რომ ამ მხვედრს არ ექვემდებარებოდეს და თავის თავი განსაკითხველად თავის თავისავე წინაშე დაეყენებინოს, ანუ, როგორც რუსთაველი იტყოდა, გაეთავისწინებინოს.

უფროს-ერთი კაცი დღე ყოველ იბრძვის და გართულია ამ წუთისოფლის ავ-კარგიანობითა. ზოგს ბედი ისე უმძიმს, რომ ამ ბრძოლას და გართვას არა ჰყოფნის მისნი დღენი, მისნი საათნი, მისნი წუთნი: ყველა ესენი შეწირული აქვს მთლად და გადურჩენელად იმ მცირეზე-მცირე სიამოვნებისათვის, რომელსაც ადამიანი ძლივძლივ გამოჰგლეჯს ხოლმე ამ ძვირს წუთი-სოფელსა და ურომლისობა ადამიანის არსებობას შეუძლებელად-და ჰხდის. ამ წრეში მოტრიალეს კაცს მოცალეობა არა აქვს თავის თავს ჩაუბრუნოს თვალი განსაკითხავად და დღიურ ლუკმისათვის გარჯილსა და მაშვრალსა არც ხალისი-და აქვს ამისთანაებისათვის. ამისთანა კაცისათვის, ბრძოლის მოედნიდამ თვალის მოშორება ერთს წამსაც, დღიურის ლუკმის პირიდამ გამოცლას მოასწავებს და ძნელია სხვა რიღასთვისმე მოიცალოს.

ზოგი, თუნდაც მოცლილი იყოს და არ იცოდეს სად მიაფშვნიტოს თავისი დრო და ხანი, საჭიროდ არა ჰხედავს ათასში ერთხელ მაინც თავის თავს ანგარიში ჩამოართვას, თავის თავს მოჰკითხოს თავისივე ადამიანური ვინაობა, ადამიანური ავ-კარგიანობა.

მართალია, დიდად წარმატებული გონება და გული უნდა ჰქონდეს, რომ კაცი შემძლებელი იყოს თავისი თავი გაითავისწინოს და თავის თავს მსაჯულად გაუხდეს პირუთვნელად, იმიტომ-რომ იგი ერთსა და იმავე დროს მსაჯულიც უნდა იყოს, მოსარჩლეც, ბრალ-მდებელიც და ბრალდებულიცა. მაგრამ აქ ამ წარმატებულობაზედ არ არის ლაპარაკი: ჩვენ ვამბობთ იმ საჭიროების არ-მქონებლობაზედ, რომელსაც ყოველი კაცი უნდა შეჰყავნდეს ამ საიდუმლო და გათავისწინებულს სამსჯავროში განსაკითხველად და რომლის უქონლობა ვერც ცალკე კაცს წასწევს წინ წარმატების გზაზედ, ვერც საზოგადოებას, ვითარცა ცალკე კაცთა კრებულსა.

რასაკვირველია, ამ საჭიროების აჩენასაც თავისი შესაფერი, თავისი შესაწონი ღონე უნდა სულისა. ვისაც ეს ღონე არა აქვს, ის, ჩვენის ფიქრით, მჩვარია და არა კაცი. ხოლო თვითეულ ცალკე კაცთა შესანდობრად ესეც უნდა ითქვას, რომ აქ, ამ უღონობაში თვითონ საზოგადოება ბევრშია დამნაშავე. ზოგიერთის კაცთა კრებულის ყოფა-ცხოვრება ისე ბედნიერად მოეწყობა ხოლმე, რომ თითქმის ყოველს კაცს, ღონიერს თუ უღონოსა, ძალას ატანს მოჰკითხოს თავის თავს რისთვის იყო, ან რისთვის არის? უამისოდ ამისთანა საზოგადოებაში კაცი ვერ გაიჭაჭანებს, ვერ ისადგურებს, გზას ვერ გაიკაფავს, ვერ იხეირებს, ერთის სიტყვით, თავს ვერ გამოიჩენს. აქ ცალკე კაცის ღონის ნაცვლად ბძანებლობით მოქმედობს თვითონ იგი ზნე საზოგადოებისა, რომელიც სხვა არა არის-რა, გარდა შეერთებულის ღონისა და ამიტომაც ამ ზნეს ვერავინ უმტყუნებს, თუ კაცური კაცობა ჰსურს.

ეს ასეც უნდა იყოს, იმიტომ-რომ ყოველი კაცი ყოველ დღე გამკითხველის თანამდებობაშია. დაუკვირდით ყოვლის ცალკე კაცის ყოველ დღიურს ცხოვრებას და, რა ხარისხზედაც გინდა იდგეს, ჰნახავთ, რომ ამ ცხოვრების დახლართულ ბადეში ბედი ყოველს ცის ამარა დღეს ერთმანეთს გვახვედრებს და თვითეული ჩვენგანი სხვის გამკითხველია და, მაშასადამე, თვითონაც სხვისაგან არის განსაკითხველი. დააკვირდით თვითეულს, თუნდა ყოვლად უმნიშვნელო ბიჯს თქვენის ცხოვრებისას, თუნდა, მაგალითებრ, იმას, რომ მოსამსახურეს უბძანეთ წაღები გამიწმინდეო და უსათუოდ დაგვეთანხმებით, რომ არ ყოფილა შემთხვევა, საცა არ გამკითხველობდით. მართალია, ამ წაღების გაწმენდის მაგალითში პირდაპირ თვალში არ გეცემათ თქვენი გამკითხველობა, მაგრამ იგი გამკითხველობა აქაც არის, მხოლოდ თქვენგან დავიწყებულია, თქვენგან შეუმცნეველია. აქ მთელი წინად-ყოფილი მოქმედება გამკითხველობისა სწარმოებს და ამას არ იმცნევთ, რადგანაც ხშირი შემთხვევაა, ათასჯერ წინადვე განკითხული და მაშასადამე ზნედ მიღებული. ვიდრე ბიჭს თქვენის წაღების გაწმენდას დაავალებდით, განა უკვე განკითხული არ არის: რად ავალებთ? თქვენის წაღების გაწმენდაში რა მოვალეა? შეუწონეთ მისი ღონე ნაბძანებ საქმესა და სხვა ამისთანა? ეს ბძანება ზნედა გვაქვს ქცეული და რა გზით შევიძინეთ, იგი აღარ გვახსოვს, თუ განგებ გონება არ მივახედეთ, არ დავაკვირვეთ.

რაკი ადამიანს არ შეუძლიან კაცთა კრებულის გარეშ იცხოვროს ცალკედ და მიუკარებლად, რაკი ერთმანეთობა ბედის-წერასავით თვითეულს ჩვენგანს — გვინდა თუ არა,—სხვის გამკითხველადა ჰხდის და უამისოდ კაცი კაცს ვერ შეხვდება, ვერ შეეყრება, ვერ გაეყრება, აქედამ ცხადია—რა დიდ-ძალი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს გრძნობას განკითხვისას კაცთა საზოგადოების არსებობისათვის. ხოლო ისიც ცხადია, რომ ვერ გამკითხველი თავის თავისა სხვის განკითხვასაც ვერ შესძლებს და სწორედ აქ არის სათავეც ყოვლის უიედურობისა. იმიტომ-რომ მაშინ მართალი აღარ ჰტრიალებს საზოგადოებაში და ყოველივე უბედურობა ხომ უმართლობისაგან არის წარმომდგარი.

ჩვენა ვსთქვით, რომ თავის თავის განკითხვას შესაფერი ღონე უნდა სულისა და საცა ეს ცალკე კაცს არა აქვს, ბევრში თვითონ საზოგადოება არის დამნაშავეო. ეს მართალია, მაგრამ არა გვგონია ქვეყნიერობაზედ იმისთანა საზოგადოება იყოს სადმე, რომ თითოოროლაჯერ მაინც ამისათვის არ გამოაფხიზლოს კაცი, ისეთი რამ არ მოუვლინოს, რომ კაცს თვალები ძალა-უნებურად გულში ჩაუბრუნოს თავის თავის განსაკითხავად. ამიტომაც ყოველი ამისთანა შემთხვევა ზნეობითად მწრთვნელია, ყოველი ამისთანა შემთხვევა ცოტად თუ ბევრად ჰზრდის თვითეულს კაცს და, მაშასადამე, საზოგადოებასაც. მაგალითი თვალწინა გვაქვს.

დიმიტრი ყიფიანი გადაიცვალა. ხუთი ათას კაცამდე ნაცნობი და უცნობი მოდის იმის პანაშვიდზედ, რათა სხვასთან ერთად, ერთ-კრებულად უთხრას: განისვენე მართალთა თანაო. დიდი, პატარა ჰგლოვობს და მწუხარებს. ამის მნახველს, ყოველს ამის მსმენელს უნებლიედ გაუელვებს ფიქრი: სჩანს, ეს კაცი... ყოფილა რამ; სჩანს რისთვისმე უცხოვრია; სჩანს რამ გაუკეთებია; თორემ დღეში რამდენი კაცი კვდება, რატომ სხვაზედ არ არის ეს ამბავიო.

აქედამ დიდი სახტომი არ არის იქამდე, რომ კაცმა თვალი შიგნით ჩაიბრუნოს და თავის გულში დაიწყოს იმის პასუხის ძებნა თუ,—რისთვისა ვარ? რა გამიკეთებია? რით მომიგონოს ჩემმა შემდეგმა? დიახ, ამისთანა მაგალითი მოგვივლენს ხოლმე თავის თავის განკითხვის დღესა, გვწურთნის, გვასწავლის და გვზრდის.

ი.

## დიმიტრი ყიფიანის მიცვალების გამო

დიმიტრი ყიფიანის მოკვლის მიზეზი ჯერ გამორკვეული არ არის, თუმცა მთავრობის განკარგულებით ძრიელ სასტიკად მიდის გამოძიების საქმეო, როგორცა გვწერენ სტავროპოლიდამ.

განსვენებული დიმიტრი მოკვლის წინა დღეებში ძრიელ მხნედა ყოფილა. 24 ოქტომბერს ექიმი თითქმის თერთმეტ საათამდის დარჩომილა დიმიტრისთან. მეორე დღეს მოკლული უნახავთ ისე, როგორც მოხსენებული იყო ჩვენს გაზეთში. დიმიტრისა სჭერია ორი ოთახი თავის ტალანით. ტალანში მუდამ ღამ ეძინა მოსამსახურე დედაკაცს. ამავ დედაკაცს მიჰქონდა ხოლმე გასაღები და გარედამა ჰკეტდა კარებსა, რომ დილით არ შეეწუხებინა მოხუცი და არ გეეღვიძებინა.

25 ოქტომბერს დილით ამ დედაკაცმა უთხრა ერთს 8 წლის გოგოსა.

— აბა, შედი და ნახე გენერალი. თუ შეატყო, რომ გენერლის საქმე ცუდად არის, მაშინათვე ყვირილი დაიწყეო.

გოგო შევიდა ოთახში და, რა ნახა, რომ დიმიტრი მოკლულია, დაიწყო ყვირილი:

— გენერალი მოუკლავთ, გენერალი!..

მაშინ ის დედაკაციც შევარდნილა და დაუწყვია ყვირილი. შეგროვილა ხალხი ამ უბედურების სანახავად. მოსულა გამომძიებელიც.

რადგანაც დედაკაცს მუდამ ტალანში ეძინა, ამიტომ პირველად იმას მიჰმართა კანონის წარმომადგენელმა. ჰკითხეს, როგორ მოხდა საქმე, ვინ იყო მკვლელი და სხვანი. დედაკაცმა სთქვა, რომ მე შინ არ ვიყავ, ჩემ საყვარელთან გავათიე ღამეო. მონახეს იმისი საყვარელი და აღმოჩნდა, რომ ის სრულებით შინაც არა ყოფილიყო იმ ღამესა. ამ გარემოებიდამ დაიბადა თურმე ეჭვი, რომ მკვლელობაში ხსენებულს დედაკაცს რაღაც მონაწილეობა აქვსო. დაიჭირეს ეს დედაკაცი, აგრეთვე იმისი საყვარელი და ერთიც უფროსი მცველი სახლისა.

ეს იყო პირველი ნაბიჯი გამოძიებისა ავაზაკთა აღმოსაჩენად.

ამის შემდეგ ექიმებმა შეამოწმეს, რომ განსვენებულ დიმიტრისათვის ჯერ რაღაც შხამი დაულევინებიათ და შემდეგ მოუკლავთ. გარდა ამ გარემოებისა გამოძიებას ისიც მიუღია მხედველობაში, რომ იმ ღამეს, 11 საათიდამ მოკიდებული ვიდრე თორმეტამდე, გაძრიელებული სიარული ყოფილა იმ ქუჩაზე, რომელზედაც ეჭირა სახლი დიმიტრისა. ყველანი თურმე ჰკვირობდენ ამ ამბავსა, რადგან თავის დღეში არა ყოფილა იქ ასეთი გაცხოველებული მოძრაობა ფაეტონებისა.

გარდა ამისა გამოძიება ერთს საოცარს ამბავს მიადგა თურმე. როგორც ამბობდენ, დიმიტრისთან ძრიელ ხშირად დაიარებოდა უკანასკნელს დროს ერთი საეჭვო კაცი, რომელსაც ნაცრის ფერი პალტო ეცვა. ეს კაცი გადაეკიდა დიმიტრისა და მოსვენებას არ აძლევდა მოხუცსა. თავაზიანმა მოხუცმა დიდხანს ითმინა, მასპინძლობას არ აკლებდა, მაგრამ რომ გაუჭირა საქმე, ველარ მოითმინა დიმიტრიმა და უთხრა: აღარ შემიძლიან მომეტებული, თუ შეიძლებოდეს, მომასვენეთ, ნულარ მაწუხებთო.

მეორე დღეს თურმე დიმიტრი საშინლადა სწუხდა—იქამდის წინდაუხედავი იყო ის კაციო, რომ მეტი გზა აღარა მქონდა, სახლიდამ უნდა დამეთხოვნაო.

გამომძიებელთ დიდი ეჭვი შეიტანეს თურმე ამ კაცზე და საჭიროდ დაინახეს მისი გამოკითხვა, მაგრამ ვერა ღონის-ძიებით ვერ იპოვნეს. შემდეგ დიდის გამოკითხვისა ნახეს სტავროპოლის ერთი მცხოვრებელი, რომელიც თურმე იცნობს ნაცრის ფერ პალტოიან კაცსა. ჰკითხეს ამ მცხოვრებელსა, მაგრამ ამითაც ჯერ ვერას გაჰხდენ, იმიტომ-რომ ეს მცხოვრებელი თურმე ამბობს, რომ ვერ ვიტყვი იმის ვინაობასა, რადგან მეშინიან მეც არ მომკლანო.

აი ჯერ-ხანად ასეთს მდგომარეობაშია გამოძიების საქმე და ენახოთ, რას მიადგებიან შემდეგში და რას აღმოაჩენენ.

## ახალი ამბავი

*** სტავროპოლიდამ გვწერენ ნაცნობნი დიმიტრი ყიფიანისა, რომ მოკვლის წინა დღეებში დაუღალავი მოხუცი ძალიან მხნედა ჰგრძნობდა თავის თავსაო.

„ქართველი კაცი ვარ, შვილებო, ქართველიო“—ამბობდა თურმე დიმიტრი.—„მე დღეს თუ ხვალ მაინც უნდა მოვკვდე, მოხუცებული ვარ, არა მიშავს-რა, ოღონდ-კი ჩემს სა-

უყვარელს სამშობლოს გამოადგეს ჩემი სიკვდილი თუ სიცოცხლე“...

*** სოფ. ოფიშქვითი (ქუთაისის გუბერნია): «ჩვენ, სოფლელებმა, ჯერ ჭორად და მერე ნამდვილად შევიტყეთ შემაძრწუნებელი და ჩვენთვის თავ-ზარ დამცემი ამბავი ძვირფასის დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის გარდაცვალებისა. ყველანი ვსტირით, ყველანი ვგლოვობთ ცრემლიანის თვალით და შეხუთულის გულით მოუთხრობთ ერთი-მეორეს ამ ძვირფასის მამულის-შვილის დაკარგვასა. ყველანი ვესწრაფებოდით, ეგებ ვინმე მადლიანმა მოთავემ თავი-თავს მოგვიყაროს და ჩვენი გულის ტკივილი თვით ჩვენის ძვირფასის დიმიტრის კუბოზედ მოგვაოხებინოს-თქო. ქუთაისში ავიჭერით, გვინდოდა შეგვეტყო რამ ჩვენის მოვალეობის აღსრულებისა, მაგრამ სად არის მოთავე? ამ გვარად ჩვენ ვერ ველირსეთ, რომ ჩვენთვის თავგანწირულის ძვირფასის კაცის კუბოს რამდენსამე ნაბიჯზედ მაინც შევსდგომოდით ჩვენის მხრით და მით ცოტაც არის თავი გვენუგეშებინა ჩვენის მოვალეობის აღსრულებითა.

«ეხლა ჩვენდა სანუგეშოდ გარდავწყვიტეთ თვით იმ დღეს, როცა ჩვენის პატივცემულის დიმიტრის გვამი საფლავს მიეცემა, ჩვენს სოფელში გარდავიხადოთ წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. ღმერთო, შენ განაწესე სული დიმიტრისა, სადაცა მართალნი განისვენებენ!»

*** ცხინვალის საზოგადოება გვწერს, რომ ჩვენის გაზეთის შემწეობით განვუცხადოთ მისი „უუგულითადესი მწუხარება დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის სახლობას იმ მოულოდნელის უბედურობისა გამო, რომელიც გვეწვია დღეს ჩვენა დაუვიწყარის მოხუცის დაკარგვით. გულ-წრფელად ვგლოვობთ და ცრემლს ვაფრქვევთ, და ეს ცრემლი არ იქნება პირველი და უკანასკნელი. გარდავიხადეთ პანაშვიდი, რომელზედაც დაესწრო მრავალი ხალხი და დიდით პატარამდე მწარედა ქვითინებდა“.

*** ოზურგეთიდამ მოგვივიდა შემდეგი დეპეშა: „დღეს, 6 ნოემბერს, ოზურგეთის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის მოსახსენებლად. ხალხი მრავლად დაესწრო. დაესწრნენ სხვათა შორის ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი და აქაურის მთავრობის წარმომადგენელნი.

*** ოდესიდამ გვწერს იქაური ქართველი სტუდენტობა: გამოუცხადეთ მიცვალებულის დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანის სახლობას ჩვენი ულრმესი მწუხარება.

*** ქალაქის თავს ცალკე უწყებით უცნობებია თვითოეულის ხმოსანისათვის, რომ კვირას, 8 ნოემბერს, წაასვენებენ მიცვალებულს დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანს მთაწმინდის, მამა დავითის ეკკლესიაში ანდერძის ასაგებად და დასასაფლავებლად.

*** თიანეთიდამ შემდეგი დეპეშა მოგვივიდა: გუშინ თიანეთის საზოგადოებამ პატივი სცა გარდაცვალებულის დიმიტრი ყიფიანის ხსენებას და პანაშვიდი გარდაუხადა.

*** სოფ. ხოველიდამ გვწერენ, რომ 5 ნოემბერს აქაურმა საზოგადოებამ გარდაიხადა პანაშვიდი განსვენებულის დიმიტრი ყიფიანის მოსახსენებლადა; პანაშვიდზე ხალხი საკმაოდ ბლომად დაესწრო. პანაშვიდის შემდეგ წარმოითქვა სიტყვა. სიტყვის მთქმელმა მოკლედ განმარტა, რა კაცური კაცი იყო განსვენებული დიმიტრი, რა ღირსებით იყო შემკული და რა მხურვალედ უყვარდა თავისი ქვეყანა და მშობელი ერი.

*** პარიჟიდამ მოგვივიდა საფრანგეთის ქართველთა სტუდენტებისაგან შემდეგი დეპეშა: გარდაეცით განსვენებულის დიმიტრის სახლობას, რომ ჩვენ, ქართველი სტუდენტობა საფრანგეთში, დიდად ვწუხვართ და ვგლოვობთ ძვირფასის დიმიტრის გარდაცვალებასა.

*** ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი შენიშნვა: „ამ დღეებში ტფილისის საბჭომ დაადგინა მიეცეს გრაფ ლორის-მელიქოვის სახელის სტიპენდია პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტს ბახუტაშვილს, როგორც ღარიბს ახალგაზდა ყმაწვილს კაცს. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ სტუდენტს ბახუტაშვილს ჰყავს ორი ძმა—ორივე ექიმი, ერთი საგუბერნიო ექიმი და მეორე საქალაქო. ვერაფერს ვერ ვიტყვით თვით სტუდენტ ბახუტაშვილზე, რადგანაც არ შეგვიძლიან ამ ახალგაზდას ვაზღვევინოთ ძმათა ექიმთა გულ-გრილობა და საზოგადო ფულების დაუზოგველობა. არც ნება გვაქვს იურიდიულად მოვთხოვოთ ძმათა ექიმთა, დაეხმარონ თავიანთს ყმაწვილს ძმას, რომელიც საჭიროებს დახმარებას რიგიანად სწავლისათვის; მაგრამ არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ, რომ ის ორი ძმა ექიმნი ზნეობით მოვალენი იყვნენ და არიან ხელი მიაწვდინონ თავიანთს ძმასა. ამ ორ ექიმთა კარგად იციან ის, რისაც დაივიწყებას სცდილობენ, რომ უნივერსიტეტებში არიან ისეთი ყმაწვილები, რომელთაც არამც თუ შეძლებული ძმა და ნათესავი არა ჰყავთ, არამედ არც ერთი დამხმარებელი არ მოეძებნებათ დედამიწის ზურგზე. იმ ორ ძმათა უნდა გახსენებოდათ, რომ ლორის-მელიქოვის სტიპენდია ხელს მოუმართავდა ერთს რომელსამე მართლა უმწეო და უნათესავო ყმაწვილს, თუ რომ იმ ორ ძმათა ეკისრნათ თავიანთის ძმის შენახვა პეტერბურგში; ის უნდა გახსენებოდათ, რომ ზოგი მართლა გაჭირებული დედ-მამა, ძმა, და და ნათესავი არაფერს არაზოგავს, საჭმელ-სასმელს და საცმელს იკლებს მხოლოდ იმისთვის, რომ შვილი ან ძმა გამოზარდონ და ამასთან საზოგადოების ჯიბეს ტვირთად არ დაედონ. ამის შემდეგ გასაკვირველი არ იქნება, თუ ვინიცობაა შევიტყეთ, რომ ძმათა ბახუტაშვილთა ან იმათს მსგავსთ არამც თუ ძმა, არამედ შვილი ეზრდებათ სადმე საწოდებო ან სახელმწიფო ხარჯით.

„ორიოდე სიტყვა კიდევ ქალაქის საბჭოს თაობაზე. ექიმთა ბახუტაშვილთა მაგალითი იმას გვიმტკიცებს, რომ საბჭო მეტად ფრთხილად უნდა არიგებდეს სტიპენდიებს; საჭიროა რიგიანად შეიტყონ იმ მშობელთა და ნათესავთა ნივთიერი შეძლება, რომლებიც თავიანთ შვილებისა ან ნათესავებისათვის თხოულობენ შემწეობას, და მხოლოდ ამის შემდეგ გასცენ სტიპენდია, თუ მშობლები ან ნათესავები შეძლებულნი აღმოჩნდებიან, რაიმე ნაირად უნდა ეცადონ და ჩააგონონ იმათ მათი ზნეობრივი, ადამიანური მოვალეობა. ჩვენ იმ აზრისანი ვართ, რომ ზოგს შემთხვევაში შეუძლებელია ეხელმძღვანელობდეთ მხოლოდ საქმის იურიდიულის მხრითა. ეს მით უფრო საჭიროა, რომ საზოგადოება დაიცვას საზოგადო ინტერესებისა და შეძლების დაზოგვას. საზოგადოებაში უნდა გავრცელდეს ის ადამიანური აზრი, რომ საზოგადოდ საზოგადო ინტერესს და კერძოდ ღარიბთა საჭიროებას უპირატესობა უნდა მიეცეს ადამიანთა ქვენან გრძნობათა და მიხედულობათა წინაშე“.

*** ვერ არიან კარგს მდგომარეობაში არსენალის ქუჩის მცხოვრებნი. ისეთი საზარელი, გულის ამრევი სუნი ვრცელდება მთაწმინდის არხიდგანა, რომ თითქმის შეუძლებელია გავლა-გამოვლა. ადვილი საშველი საქმეა ამ უსუფთაობისა და სუნის მასპობა, მხოლოდ კარების გაკეთებაა საჭირო, რომ დაკეტოს ის უზარმაზარი არხის პირი, საიდგანაც ამოდის და ვრცელდება ეს სუნი. ბევრჯელაც უთხოვნიათ არსენალის მცხოვრებლებს ქალაქის გამგეობისათვის—შეაბით ეგ კარებიო, მაგრამ იმათი თხოვნა გაიქცა ხმად მღაღადებელთა უდაბნოსა შინა. სანუგეშოდ ჰპირდება გამგეობა, მიცადეთ მომავალ წლამდეო; როცა ახალ ანგარიშს შევადგენთ, მაშინ მაგაზედაც მოვითხოვთ ხვედრს ფულსაო, თითქო არ გაგვეგონოთ ანდაზა—მანამ პავლე მოვიდა, პეტრეს ტყავი გააძრესო.

*** კუკიაში, ახალ არსენალის ქუჩაზე, ხშირია ცარცვა-გლეჯა მიმომსვლელთა, მაგრამ აქამდის ყურადღება არავინ არ მიაქცია ამ გარემოებას: არც პოლიციელი სდგას და არც ფარნებს ანთებენ. გუშინ-წინ საღამოს, რვა საათზედ, ამ ქუჩაზე ხამს გლეხ-კაცს მიჰქონდათ ურმები ცარიელ ბოჩკებითა. ბოგირთან რომ მივიდნენ, კვირაცხოვლობის ჩამოსწვრივ, სამი კინტო წინ გადაუდგა და წინ მიმავალ ურმის პატრონს ჯერ დაუწყეს ლანძღვა და მერე ცემა. სხვა მეურმეებმა თავი დაანებეს თავის ურმებს და მოეშველნენ თავის ამხანაგს. ამ დროს ორმა კინტომ ჩხუბს თავი დაანება და წავიდნენ. ცოტა ხნის შემდეგ მესამე კინტოც უკან გაედევნა თავის ამხანაგებს და თან ემუქრებოდა გლეხებს: ეხლავე პოლიციელს მოვიყვანო. მეურმეები დაბრუნდნენ თავ-თავის ადგილას და ნახეს, რომ უკანა ურმიდამ ორი ბოჩკა მოეპარათ და ბოგირის ნაპირას მიეგორებინათ.

*** კავკავი: ამ ქალაქში დროებით მცხოვრებელს, ბაღდან გრიგოლის ძე აპრილოვს, ჰყავს მოხუცებული 108 წლის დედა. ბაღდან აპრილოვი თვითონ 67 წლისაა და უსათვალეებოდ ვერ შეუძლიან წიგნი წაიკითხოს. დედა თუმცა 108 წლისა არის, მაგრამ ისე მშვენივრად აგებს ნემსზედ ძაფსა და უსათვალეებოდა ჰკერავს ძველებურ სახეებს ქარგაზე, რომ სწორედ დაუჯერებელია.

*** იქიდამვე: სოფ. გიზელში წინა კვირას დაიწვა ცეცხლით სამი მოსახლე. აი რა ნაირად იყო საქმე: ყომოევის ხუთის წლის ყმაწვილს აენთო წუმწუმი და მოეკიდებინა ჩალით დახურვილის ფარდულისათვის. გვიანმდე ვერ გაიგეს. მერე აქედგან გაძლიერდა ცეცხლი, ქვენა ნიავმაც ხელი შეუწყო და სამი მოსახლე შუადღისას გადიბუგა; რაც მინდორში საქონელი ჰყავნდათ საძოვრად, მხოლოდ ის გადურჩათ. საცოდავობა იყო სწორედ, ბეღლები რომ დაიწვა და წითლად ხორბალი გაიშალა ცეცხლში. დამწვარ სახლების დედაკაცები ლოყებს იგლეჯდნენ და თქრიალით ჩამოსდიოდათ სისხლი.

*** ქუთაისიდამ იწერებიან, რომ ერთმა ახალგაზდა ქართველმა დასწერა ტრაგედია „შოთა“, აშენებული ხალხურ თქმულებაზე. ამ ტრაგედიას ცოტა ხანში კიდეც დაჰბეჭდავენო.

*** იქიდამვე: სამ წიგნად გამოდის სურათებიანი იგავ-არაკები და ზღაპრები. პირველ წიგნში იქნება საბა ორბელიანისა, მეორეში „ქილილა და დამანის“ იგავ-არაკები; ორივე წიგნი მდაბიურად და გაუგებარ სიტყვების განმარტებით იბეჭდება. მესამეში-კი ჩვენებური სახალხო ზღაპრები იქნება. სურათების ფოტოგრაფიით დახატვა იკისრა კარგად ცნობილმა და ხელოსანმა ფოტოგრაფმა ბ-ნმა ალ. მიხაილოვმა და ტფილისში ქავზედ ამოჭრევინებას შეუკვეთენ მალე.

*** 9 ნოემბერს 1887 წ. შემდეგნი საქმენი იქნებიან განხილულნი ქალაქის საბჭოში.

1) მოხსენება გამგეობისა 20 ნაჭერ მიწის გაყიდვაზე კუკიაში.

2) მოხსენება გამგეობისა მასზედ, რომ სამხედრო უწყებას მიეზომოს საქალაქო მიწა კავკასიის ახლად მოკრებილ ჯარის-კაცთათვის ყაზარმების ასაშენებლად.

3) აზრი ხმ. ნიკოლაძისა იმაზედ, რომ საბჭოს 1887 წ. 4 მაისის დადგენილება საურთიერთო დაზღვევის შესახებ გადაისინჯოს.

4) მოხსენება გამგეობისა და პროექტი საურთიერთო დამზღვევ საზოგადოების წესდებისა.

5) თხოვნა ვექილოვების ვექილისა, ყორჩიბაშვილისა, და საჩივარი გამგეობაზე, რომელმაც უარი უთხრა შენობის პროექტის დამტკიცებაზე.

6) თხოვნა ნიკოლოზ სტეფანოვისა და დავით კირაკოზოვისა იმაზედ, რომ კრუზენშტერნის ქუჩაზე სახლი შემოიღობონ.

7) მოხსენება გამგეობისა მასზედ, რომ მიეცეს საქალაქო მიწა მიხეილ ბათაშვილსა თანახმად განაჩენისა ყოფილის საქალაქო კრებულისა და საბჭოს დადგენილებისა.

8) ოქმები საქალაქო გამსესხებელ კასისა ველისისა და ავგისტოს რევიზიისა.

9) წინადადება ხმ. კალოუბნელისა იმის თაობაზედ, რომ მიხეილის ქუჩაზედ კუბოებისა და საფლავის ქვების გასყიდვა აეკრძალოს.

10) თხოვნა ქერიმის ჭრელაშვილისა იმაზედ, რომ ნაწილი გარდასახადისა დამხმარებელ თანხაზე იქმნას გარდატანილი.

11) პასუხი პირუტყვთა მფარველ საზოგადოებისა მაწანწალა ძაღლების გაწყვეტასა და პირუტყვთა თავ-შესაფარის გამართვაზე.

12) აზრი ხმ. მ. ი. თამამშოვისა იმის შესახებ, რომ დაინიშნოს კომისია და დაფასების დარჩენილი გარდასახადი გაისინჯოს.

13) აზრის ხმ. კ. ა. ბებუთოვისა იმის შესახებ, რომ დოლებზე ტოტალიზატორი დაკეტილ იქმნას.

14) თხოვნა ლეონ ისარლოვისა: აეკრძალოს ვაჭარს ბაიანდუროვს, რათა დაჭერილი ჰქონდეს ადგილი თავის მაღაზიის წინ რკინის რიგობაზე.

15) აზრი ხმ. თ. ბებუთოვისა შესახებ ლორის-მელიქოვის სტიპენდიისა.

16) მოხსენება სამოსწავლო კომიტეტისა მასზედ, რომ დაიწყოს მოქმედება საზოგადოებისა შესაწევნელად შეუძლებელ მოწაფეთა საქალაქო სასწავლებლებისათვის.

## სამეურნეო საზოგადოების კრება

### 6 ნოემბერი

სხდომა გახსნა ბ-ნმა ჯორჯაძემ, რომელმაც სთხოვა საზოგადოებას, პატივი სცენ დიმიტრი ყიფიანის სახელს ფეხზედ ადგომითა. კრებამ ერთ-ხმად მიიღო ბ-ნის ვიცე-პრეზიდენტის წინადადება. შემდეგ ბ-ნ ჯორჯაძის მაგიერ, რომელმაც უარი განაცხადა ვიცე-პრეზიდენტობაზე, ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს ბ-ნი კუჩაევი. ბ-ნმა კუჩაევმა მადლობა გადაუხადა საზოგადოებას და სთქვა: მე არც მეურნე ვარ და არც მემამულე; ამიტომაც ვერ გავბედავ და ვერ მივიღებ მაგ საპატიო წოდებასა, თუ რომ თვით საზოგადოება ხელს არ შემიწყობს იმ დრომდე, სანამ თვითონ დავხელოვნდებოდე საზოგადოების საქმეთა წარმოებაში. საზოგადოებამ მოისმინა კუჩაევის სიტყვა და ასე და ამ გვარად ვიცე-პრეზიდენტად გამოცხადებული იქმნა ბ-ნი მ. ნ. კუჩაევი, რომელიც იმ წამსვე შეუდგა ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობის აღსრულებასა.

მიმომდინარე საქმეთა წაკითხვის შემდეგ ბ-ნმა არასხანიანცმა წაიკითხა მოხსენება იმის თაობაზე, თუ რამდენად შესაძლებელია შესრულდეს სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს აზრი იმის თაობაზე, რომ სოფლის საზოგადოებათა, ე. ი. მიწის მოვლობელთა და მიწად-მოქმედთა თვითონვე მიაწოდონ პური სამხედრო უწყებას, ისე, რომ ამ საქმეში არ გაერიონ ვაჭრები, ჩარჩები და იჯარადრები. სამინისტროს უნდა ეს წესი შემოიღოს, რათა ერთის მხრით ხელი შეუწყოს სამხედრო უწყებას, ე. ი. მიაწოდოს კარგის ღირსების ხორბალი,—მეორეს მხრით დაეხმაროს მიწად-მოქმედთა და მიწად-მოვლობელთა ეკონომიურს წარმატებას. ბ-ნის არასხანიანცის აზრით, ზოგიერთა ადგილებში, სახელდობრ იქ, სადაც მოთავსებულია დიდ-დიდი საპროვიანტო მაღაზიები და სადაც მიწად-მოქმედობა მეტად გავრცელებულია, ადვილად შესაძლებელია შემოიღონ ის წესი, რომელიც სამინისტროს სასარგებლოდ უცვნია. ხოლო ამისათვის საინტენდანტო უწყების წესში ზოგი ცვლილება უნდა შემოიღონ, მაგალითებრ ისა, რომ სოფლის საზოგადოებათა გირაო არ უნდა გამოართვან; აგრეთვე თვით საინტენდანტო უწყების აგენტებმა უნდა შეიტყონ მიწად-მოქმედების მდგომარეობა იმ ადგილში, საიდამაც უნდა გამოიტანონ პური; ერთის სიტყვით, იმ აგენტებმა უნდა გამოარკვიონ, თუ რომელს სოფელს რამდენად უნაკლულოდ შეუძლიან აღუსრულოს პირობა ხაზინას. იმ ადგილებში-კი, სადაც მიწად-მოქმედება ნაკლებია, შეუძლებელია შემოიღონ ეს სათემო წესი. თუ ამისთანა ადგილებში მოიპოვება საპროვიანტო მაღაზიები, მაშინ ამათ პური უნდა მიაწოდონ ისევე იჯარადრებმა, არასხანიანცის აზრით, მისს პრო-

გრამას შეუძლიან სრულიად განდევნოს ნარჩენი და იჯარადრები საინტენდანტო საქმიდგან, ე. ი. შესრულებული იქმნება სამინისტროს კეთილი აზრიო.

არასხანიანცის მოხსენებამ გამოიწვია ხანგრძლივი ბაასი. არასხანიანცს შენიშნეს, რომ ნარჩობა და იჯარადრობა ისევ თავს შეიფარებს იმ სათემო წესში, რადგანაც ვერავითარი ახალი წესი ვერ შესცვლის ცხოვრების იმ პირობათა, რომლებიც დამყარებულნი სოფლის ყოფა-ცხოვრებაში. არასხანიანცს აგრეთვე ის უპასუხეს, რომ მაგ სათემო წესის შემოღება შესაძლებელი იქმნებოდა, თუ რომ ჩვენში არსებობდეს ერობა—„ზემსტვო“, რომელსაც შეუძლიან შუა-კაცობა გასწიოს მიწად-მოქმედთა და ხაზინას შორის. აგრეთვე ჩვენში ყველა ადგილებში არ არსებობს მიწის საერო მფლობელობა, რომელიც სოფლის საზოგადოებას საშუალებას აძლევს საერთოდ პასუხი აგოს ხაზინის წინაშე, თუ რომ პირობა ვერ შეასრულა. ყველა ამ გვარ და კიდევ სხვა მოსაზრებათა გამო არასხანიანცის პროექტი ვერ მიაღწევს იმ საგანსა, რომელიც აზრადა აქვს სამინისტროსაო.

კრებას გადაწყვეტით არა გადუწყვეტია-რა, რადგანაც ბაასი დასრულებულ არ იქმნა. ბაასი გადიდვა მეორე სხდომამდე, რომელზედაც არასხანიანცის პროექტი უფრო საფუძვლიანად და დაწვრილებით უნდა განიხილონ.

# უცხოეთი

**ბოლგარია.** ვენიდგან სწერენ გაზეთ „Times“-ს: გერმანიის მართებლობამ აცნობა ოსმალეთისას, რომ როგორც ევროპის, აგრეთვე ოსმალეთის ინტერესებისათვის საჭიროა ოსმალეთი მოერიგდეს და მიემხროს ბოლგარიას. გერმანიის სურვილი ის არის, რომ ოსმალეთმა არავითარიმე ზომა არ იხმაროს ბოლგარიის საქმის ასე თუ ისე საწარმოებლად; რომ ოსმალეთი იმაზე უკეთესს ვერასფერს იზამს, თუ ბოლგარიას თავს მიანებებსო. ერთის სიტყვით, გერმანიას განზრახვა აქვს ბოლგარიის საქმე ისე მოაწყოს, როგორც ამას მოითხოვს თვით გერმანიისა და ავსტრიის ინტერესი. ბოლგარიის მართებლობამ მიჰმართა ამას წინად რუმინიის, სერბიისა და საბერძნეთის წარმომადგენელთ და განუცხადა, რომ რადგანაც ამ სახელმწიფოებს ხელი არ უწერიათ ბერლინის ტრაქტატზე, ამისათვის იმათ შეუძლიანთ პრინცი ფერდინანდი კანონიერ მთავრად აღიარონო.

ამბობენ, რომ პრინცი კობურგისა წავა ვენაში პრინცის ფილიპეს თხოვნისამებრ. ებენტალში, სადაც ამ ჟამად იმყოფება პრინცესსა კლემენტინა, შესდგება საგვარეულო რჩევა კობურგის ერნსტის თავ-მჯდომარეობით.

**საფრანგეთი.** ამბობენ, გრევიმ გადაწყვეტილად გამოაცხადა, რომ პრეზიდენტობას თავს ვანებებო.

ვილსონის დანაშაულობა ისეთი მძიმე დანაშაულობა არის, რომლისათვისაც ვილსონი კატორგის ღირსიაო.

აგრეთვე იუწყებიან, რომ სამხედრო მინისტრის ფერონის მდგომარეობა ძალიან გაძნელებულია.

**გერმანია.** მემკვიდრე პრინცის მორჩენაზე, როგორც სჩანს, იმედი თითქმის სრულიად არ არის. ინგლისის სამეფო სახლობა ძალიან შეწუხებულია პრინცის ავადმყოფობით. დედოფალი ვიქტორია ყოველ დღეს სწერს დეპეშებს კრონპრინცესსას, თავის ასულს. ვიქტორიას მუდამ დღე მისდის დეპეშით ბიულეტენები აქიმ მაკენზისაგან. პრინცი უელსისა, რომელიც იმყოფება სანდრინგამში, დიდის ყურადღებით ადევნებს თვალ-ყურს პრინცის ავადმყოფობას.

**იტალია.** იტალია დიდს მზადებაშია აბისინიასთან საომრად. გენერალი სანმარზანო, რომელიც დანიშნეს აბისინიაში მომქმედ ჯარების სარდლად, მისულა მასუაში და ჯარიც უკვე ჩაუბარებია. გენერალს ბრძანებაში გამოუცხადებია, რომ იტალიას მტკიცე განზრახვა აქვს დაიცვას თავისნი უფლებანი იმ ადგილებზე, რომლებიც უკვე დაუჭერია. იტალია იბრძვის იმ ადგილების მკვიდრთა კეთილდღეობის დასამყარებლად იმათის მოდგმის განურჩევლად; იმედია, იტალია ღირსეულად აღასრულებს განზრახულს აზრს თავისის სამაგალითო ჯარების შემწეობითაო.

ეს გარემოება იმის მაჩვენებელია, რომ ამ მოკლე ხანს იმ ადგილებში უნდა მოხდეს რაიმე მეტად საყურადღებო.

**ავსტრი-ვენგრია.** ავსტრი-ვენგრიაში არ ეჭვაშნიკათ დიპლომატებს რუსეთის იმპერატორის მიბრძანება ბერლინში. ვინ იცის, იქნება ბისმარკმა ახლა ჩვენ დაგვივიწყოსო, ამბობენ ეს დიპლომატები, და რუსეთთან დაიჭიროს მეგობრობაო. ბისმარკისაგან გასაკვირველი არა არის-რა: თავის მეგობრობას იმასა ჰპირდება, ვინც უფრო სასარგებლო პირობას დაუდებს მეგობრობისასაო. ყოველს ამას სწერს გაზ. „Нов. Вр.“ კორრესპონდენტი. თვით რედაქცია ამბობს, რომ ამ კორრესპონდენციას ჩვენ არავითარს მნიშვნელობას არ ვაძლევთ და არცა გვჯერა ის ამბავი, რასაც კორრესპონდენტი მოგვითხრობს; მაგრამ მაინც ვბეჭდავთ, რადგან ვფიქრობთ, რომ თუ ცეცხლი არსად ანთია, ბოლიც არ გამოჩნდებაო.

**ინგლისი.** ამ დღეებში ლიბერალებს ჰქონიათ კრება. ამ კრებაზედ თავ-მჯდომარეს წაუკითხავს შემდეგი წერილი გლადსტონისა: ძალ-მომრეობის პოლიტიკამ გააჭირა საქმე. ისინიც-კი, ვინც მომხრე იყო აქამდე ამ პოლიტიკასა, დღეს უარ-ჰყოფენ და კანონებს აღარ ასრულებენ. მას შემდეგ, რაკი ირლანდიაში თვით-მმართველობის დაარსების პროექტი უარ-ყოფილ იქმნა, ცხადია სასტიკ ღონის-ძიებათა შემწეობით უნდა ემართნა მთავრობას საქმეებიო. ეს ღონის-ძიება უნდა მიმართულიყო დამნაშავეთა წინააღმდეგ. ის-კი არა თუ ამ ღონის-ძიებით სული ამოჰხუთეს მწერლობას და შეკრების ნება მოჰზღუდეს. რა მოჰყვა ამასთანა ძალ-მომრეობას, თქვენ კარგად უწყით. სული მტარვალობისა მტერობა ჯერ კიდევ ცოცხლობს კონსერვატორებში, თუმცა ის ძლიერება-კი აღარა აქვთ, როგორიც ჰქონდა კრომველს, სტრაფორდს და სხვათა.

# წვრილი ამბები

— საფრანგეთის ფინანსთა მინისტრს წარუდგენია დეპუტატთა პალატისათვის კანონ-პროექტი იმის თაობაზედ, რომ ბრინჯაოს წვრილის ფულის მაგიერ ნიკელისაგან მოიჭრას წვრილი ფული 70 მილიონის ფრანკისა.

— აი რა წესით იდღესასწაულებენ პაპი ლეონ მე-XIII-ის იუბილეის: 31 დეკემბერს პაპი მიიღებს დეპუტაციას იმ კომიტეტისაგან, რომელიც იუბილეის გადახდის საქმეს განაგებს; 1 იანვარს 1888 წლისა დიდის აშპით სწირავს ეკკლესიაში; 2 იანვარს სან-ლორენცის ეკკლესიაში წარმოთქმულ იქმნება სიტყვები და წაიკითხავენ ლექსებს იუბილეის გამო; 3, 4 და 5 იანვარს პაპი მიიღებს იტალიისა და უცხო ქვეყნებიდამ მოსულს დეპუტაციებს; 6 იანვარს კარდინალებისა და უცხო ქვეყნების დიპლომატების თანადასწრებით დაიწყება მიმოხილვა ვატიკანში გამართულის გამოფენისა.

— გილიესოს, რომელსაც უნდოდა მოეკლა მარშალის ბაზენისა, სასამართლომ კატორგა გადაუწყვიტა რვა წლის ვადით.

— რუსეთში, კურსკის გუბერნიაში, დაუჭერიათ ორი მცირე-წლოვანი დამნაშავე, რომელთაც რელსი დაუდვიათ რკინის გზაზე და მატარებლის დალეწვა ნდომებიათ. ერთი დამნაშავე 10 წლისაა და მეორე 13 წლისა.

— „Figaro“ ამბობს, რომ თუ პრეზიდენტი გრევი უარს იტყვის პრეზიდენტობაზე, საფრანგეთი პრეზიდენტად უფრო ფლურანსს მოინდომებსო.

— ექიმებს ბჭობა ჰქონიათ სან-რემოში და გადაუწყვეტიათ, რომ გერმანიის მემკვიდრე პრინცს გარეგანი აპერაცია არ მოუნდებაო, თუ საჭირო იქმნა აპერაცია შიგნიდამ, ყელში, მაშინ ამ აპერაციას ბერლინში გაუკეთებენ, ყველა მინისტრების თანადასწრებითაო.

— სახელოვანმა მომღერალმა ქალმა ადელინა პატტიმ პარიჟში სამი კონცერტი გაჰმართა ამ ბოლოს დროს. ახლა გამოუთვლიათ, თუ რა მიუღია მომღერალს თითოეულის ნოტისათვის, რომელიც-კი იმის სამღერალში აღმოჩენილა. თითოეულის ნოტისათვის პატტის მიუღია 15 მან. 70 კაპ.

— ჩეხურს საერო თეატრში წარმოუდგენიათ ერთი რუსული პიესა, სახელდობრ „Maiopша“ შპაჟინსკისა. ჩეხულების გაზეთებს ფელეეტონები დაუბეჭდიათ ამ პიესის გამო და თუმცა დიდს ღირსებას არა ჰპოულობენ შიგა, მაგრამ მაინც ამბობენ, რომ ზოგიერთი ტიპები ძალიან რიგიანად არის დახატულიო. საზოგადოებას ძალიან მოსწონებია ეს პიესა.

# დეპეშა

6 ნოემბერი

**პეტერბურგი.** ვიცე-ადმირალი შმიდტი დანიშნულია დიდის ოკეანეს ესკადრის უფროსად, კონტრ-ადმირალის კორნილოვის მაგივრად.

გაზეთი „Гражданинъ“-ი იუწყება, რომ სახელმწიფო რჩევამ დაამტკიცა ხელ-ახლად განხილული და შესწორებული საბაჟო ტარიფიო.

გაზეთები იუწყებიან, რომ კარტოფილის სახამებლის მწარმოებელთა წასახალისებლად უნდა შემოიღონ სხვა-და-სხვა ზომები, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს პრემიები კარტოფილის ნაწარმოების გატანისათვის და მფარველი ბაჟი.

**ბელგრადი.** მიტროპოლიტს მიხეილს დაუნიშნეს პენსიად 10,000 ფრანკი წლიწადში.

**პარიჟი.** თუმცა უწესოებას მოელოდნენ, მაგრამ გუშინდელმა დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. 527 ხმის უმეტესობით 3-ის წინააღმდეგ გადაწყვეტილითა, რომ ვილსონი სამართლის წესისამებრ პასუხის გებაში მიეცეს. ამისდა მიუხედავად ხმა საპრეზიდენტო და სამინისტრო კრიზისის შესახებ უსაფუძვლოა. გრევიმ გამოუცხადა მინისტრებს, რომ სამსახურიდგან არ გადავდგები; მე გადავწყვიტე დავრჩე ჩემს ადგილზე იმ დრომდე, სანამ პალატის უმეტესობა ჩემი წინააღმდეგი არ იქნებაო. მხოლოდ იუსტიციის მინისტრი მაზე გადადგა სამსახურიდგან; ვინ დაიჭერს მაზეს ადგილს, ჯერ არ იციან. პოლიციის პრეფექტი გრანიონი დათხოვნილია სამსახურიდგან. გრანიონი, ჩუმად მეძიებელ განყოფილების უფროსის თანაშემწე გარონი და ვილსონის მდივანი მიეცემიან პასუხის-გებაში. ხვალ მოელიან, რომ უკიდურესი მემარცხენეთა დასი შეიტანს პალატაში ისეთს აზრს, რომელსაც შეუძლიან სრულიად შესცვალოს საქმეთა გარემოება.

**ბერლინი,** დილის 10 საათი და 40 წუთი. იმპერატორი ვილჰელმი ამ წამსვე მიდის რუსეთის საელჩოს ოტელში.

**ბერლინი,** დილის 11 საათი და 10 წუთი. მათ უდიდებულესობათა, ხელმწიფე იმპერატორისა და ხელმწიფე იმპერატრიცას მოსვლის მოლოდინში „Unter den Linden“-ის ქუჩაზე, ბრანდენბერგის ალაყაფის კარებთან ლერტის რკინის გზის სადგურამდე სდგას მრავალი ხალხი. ხელმწიფე იმპერატორის სახელის გვარდიის პოლკს, საპარადო ფორმაში მორთულს, ამ ქამად აბინავებენ დანიშნულს ადგილზე, ალზენის ქუჩაზე. საპატიო ყარაულად დანიშნულია მეორე როტა გვარდიის პოლკისა; იქვე იქმნება პოლკის მუსიკა. სადგურზე მოვიდნენ პრინცი ვილჰელმი, მთელი გენერლობა და გრაფი მოლტკე. მათნი უდიდებულესობანი მოვიდნენ 11-ს საათზე. ხელმწიფე შემოვიდა ქალაქში პრინც ვილჰელმითურთ და ხელმწიფე იმპერატრიცა პრინცის მეუღლითურთ. ბრძანდნენ თუ არა მათნი უდიდებულესობანი ოტელში, იმ წამსვე მიეგებნენ იმპერატორი ვილჰელმი და პრინცები. შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა ინახულა იმპერატორი ვილჰელმი და პრინცები. ხელმწიფემ აგრეთვე რამდენსამე კაცს გაუწია დარბაზობა. მეოთხე საათზე ხელმწიფესთან მივიდა საელჩოს ოტელში ბისმარკი, რომელმაც დაჰყო მისს უდიდებულესობასთან თითქმის ერთი საათი. ხელმწიფე იმპერატრიცამ უავგუსტოესს ყმაწვილებითურთ ინახულა იმპერატორი ვილჰელმი. საუზმის-წეულო სადილი მომზადებულია 98 კაცისათვის. მათნი უდიდებულესობანი აქედგან წაბრძანდებიან საღამოს ცხრა საათსა და ნახევარზე.

7 ნოემბერი

**პეტერბურგი.** „Нов. Время“ იუწყება, რომ სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებაში გარდასახადის მომატების თაობაზე პროექტი უკვე შეუტანიათ სახელმწიფო რჩევაში. იმის თაობაზე, რომ ბაქო დაიდოს რკინის გზით საქონლის საჩქაროდ გადატანისათვის, არავითარი პროექტი არ შეუტანიათ.

**ბერლინი.** მათნი უდიდებულესობანი გამოემშვიდობნენ იმპერატორს ვილჰელმს და წამობრძანდნენ ბერლინიდგან გუშინ 9 საათზე და 35 წამზე. პრინცმა ვილჰელმა, ჰენრიხმა, ალბრეხთმა და ლეოპოლდმა გააცილეს უავგუსტოესნი მგზავრი პოტსდამამდე.

**პარიჟი.** სან-რემოდგან იუწყებიან, რომ გერმანიის მემკვიდრე პრინცის ავადმყოფობა კიდევ უფრო გაძნელდა.

**პეტერბურგის ბირჟა, 3-ს ნოემბერს. ფასები:**

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გარიგებისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 9 3 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | 180 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . . . . . | — » | — » | 1 32 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . . . | — » | — » | 264 |
| — მეორისა . . . . . | — » | — » | 240 |
| გირავნობ. ფურცელნი: ტფილისის ბანკისა . . | — » | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — » | — » | — » |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . , . | — » | — » | — » |

**საკალენდარო ცნობანი**

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქრონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქრონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

**ნოემბერი 30 დღით არის**

**8 დღე კვირა.** კრება წმ. მთავარ-ანგელოზ მიხეილისა და ყოველთა ზეცერ ძალთა. სომეხ. მე-9 კვირა ამაღლებიდგან. ქორწინებათა ნება ეძლევათ. მუსულ. მე-6 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—გაიმართა ტფილისში ახალი საქალაქო სამკურნალო, 1868 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—55, ჩადის 4—36. მთვარე 6 დღისაა.

**9 დღე ორშაბათი.** წმ. მოწ. ონისიფორესი და პორფირისა. კათოლ. მაცხოვარის ეკკლესიის კურთხევა. სომეხ. წმ. მელიტოსი, მინასი და სხ. მუსულ. მე-7 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—56, ჩადის 4—36. მთვარე 7 დღისაა.

**10 დღე სამშაბათი.** წმ. მოციქ. ერასტისა, კუარტასი და სხ. კათოლ. წმ. ალმსაარ. ანდრია აველინელისა. სომეხ. წმ. დიმიტრისა და მოწ. ვასილისკესი. მუსულ. მე-8 დღე თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305. წ. ჰიჯრისა. გარდაიცვალა მე-11 იმამი ჰასან-ასკიარი (შიიტ.).—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—57, ჩადის 4—35. მთვარე 8 დღისაა.

**11 დღე ოთხშაბათი.** წმ. მინასი და სხ. კათოლ. წმ. მოწ. ეპისკ. მარტინასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-9 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—58, ჩადის 4—34. მთვარე 9 დღისაა.

**12 დღე ხუთშაბათი.** წმ. იოანნე მოწყალესი და ღირსისა ნილოსი. კათ. წმ. მოწ. ხუთთა ძმათა. სომხ. წმ. გურიასი, სამონისა, აბიბოსი და სხ. მუსულ. მე-10 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ქ. ერევანში შემოღებულ იქმნა საქალაქო დებულება, 1877.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—59, ჩადის 4—34. მთვარე 10 დღისაა.

**13 დღე პარასკევი.** წმ. იოანე ოქროპირისა და წმ. მოწ. ანტონისა. კათოლ. წმ. ალმს. სტანისლავა კოსტკასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-11 რიცხვი თთვისა

რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.— სტავროპოლში დაარსდა სასულიერო სემინარია, 1846 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—47. ტფილისში მზე ამოდის 7—0, ჩადის 4—34. მთვარე 11 დღისაა.

**14 დღე შაბათი.** წმ. მოციქ. ფილიპესი და იუსტინიანე მეფისა. ალების ღამე შობის მარხვისა. კათოლ. წმ. მოწ. პაპა მარტინესი. სომეხ. მოციქ. ანდრიასი და ფილიპესი. მუსულ. მე-12 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა. დაბადება და გარდაცვლა წინასწარ-მეტყველისა მაჰმედისა (სუნიტ.).—დაბადება მისის დიდებულების იმპერატორის მეუღლის მარია თევდორეს ასულისა, 1847 წ.—ზაქათალაში გენ. გულიაკოვს ძეგლი აუგეს, 1845 წ.—თ. ანდრონიკაშვილმა გაიმარჯვა ოსმალებზე ახალციხესთან და გამარჯვებულს დარჩა ბანაკი მტრისა, 11 ზარბაზანი და მრავალი ქონება, 1853 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—47. ტფილისში მზე ამოდის 7—1, ჩადის 4—33. მთვარე 12 დღისაა.

**15 დღე კვირა.** წმ. გურიასი, სამონისა და აბიბოსი. დაწყება შობის მარხვისა. კათოლ. წმ. ქალწ. გერტრუდასი. სომეხ. ალების ღამე ჰისნაკის მარხვისა. მუსულ. მე-13 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—48. ტფილისში მზე ამოდის 7—2, ჩადის 4—32. მთვარე 13 დღისაა.

**16 დღე ორშაბათი.** წმ. მოციქულ-მახარებელ მათესი. კათოლ. წმ. ალმსარ. დიდაკასი. მუსულ. მე-14 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—48. ტფილისში მზე ამოდის 7—3, ჩადის 4—32. მთვარე 14 დღისაა.

**17 დღე სამშაბათი.** წმ. გრიგოლ საკვირველ-მოქმედისა, მოწ. გობრონისა და 133 სხ. კათოლ. ქალწ. მოწ. დედოფ. სალომესა. მუსულ. მე-15 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა. სიკვდილი ეზიდასი.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—49. ტფილისში მზე ამოდის 7—5, ჩადის 4—31. მთვარე 15 დღისაა.

**18 დღე ოთხშაბათი.** წმ. პლატონისა, რომანოსისა და მეზვერე ზაქესი. კათოლ. წმ. მოციქულთა პეტრესი და პავლეს ეკკლესიის კურთხევა. სომეხ. მე-3 დღე ჰისნაკის მარხვისა. მუსულ. მე-16 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—49. ტფილისში მზე ამოდის 7—6, ჩადის 4—31. მთვარე 16 დღისაა.

**19 დღე ხუთშაბათი.** წ. წ.-მეტყ. ავდიასი, ლირსისა ვაკლამისა, იოასეფისა და წმ. ილარიონისა. კათოლ. წმ. დედოფალ ელისაბედისა. მუსულ. მე-17 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50. ტფილისში მზე ამოდის 7—7, ჩადის 4—31. მთვარე 17 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | 3 | › |
| › 2 › | 2½ | › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | › |
| › › 2— | 3½ | › |
| › › 3 › | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა | 4 | › |
| მე-3 — | | › |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | › |
| › 2 › | 6 | › |
| სუკი | 13 | › |
| ცხვრის ხორცი | 7 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | 7 | › |
| › 2 › | 6 | › |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გაგა მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო სიდასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა უოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ი ლ ი თ | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| ტფილისი | — | — | 8 | 49 | ბათუმი | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა | 9 | 55 | 1:1 | 2 |
| კასპი | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი | 12 | 8 | 12 | 11 | სამტრედია | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი | 2 | — | 2 | 3 | ყვირილა | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი | 6 | 14 | 6 | 16 | | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | სურამი | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი | 7 | 08 | 7 | 10 | გომი | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო | 8 | 5 | 8 | 7 | გორი | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი | 11 | 13 | — | — | ტფილისი | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ი ლ ი ს ი თ | | | | | ს ა ღ ა მ ო თ | | | |
| ტფილისი | — | — | 3 | 21 | სურამი | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა | 4 | 19 | 4 | 25 | გომი | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი | 5 | 24 | 5 | 29 | გორი | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი | 5 | 46 | 5 | 51 |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| გორი | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი | 8 | 50 | — | — | ტფილისი | 8 | 24 | — | — |


## ქენის მაღაზია

გოლოვინის პროსპექტი, სახლი მდივანისა, 1-ლ კლასიკურის გიმნაზიის პირდაპირ.

მაქვს პატივი განვუცხადო პატივცემულს საზოგადოებას, რომ ამ დღეებში მივიღე დიდ-ძალი მზა-მზარეული ტანისამოსი მამა-კაცთა და პატარა ყმაწვილებისათვის. ტანისამოსები საზამთროა და საშემოდგომო, შეკერილია უკანასკნელს მოდაზე. ფასი ტანისამოსებისა ზომიერია და ყველასათვის ხელ-მისაწვდომი.

(10—5) გ. ხუდავერდიანცი


ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში სასახლის ქუჩაზე, სარაჯოვის სახლში (Дворцовая ул. домъ Сараджева) ისყიდება შემდეგი ახლად შეძენილი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| დედა-ენა, ი. გოგებაშვილისა | „ | 30 |
| ბუნების კარი, მისივე | „ | 75 |
| კოკორი, მისივე | „ | 10 |
| კონა, მისივე | „ | 50 |
| ხომლი, მისივე | „ | 30 |
| კუნწულა, მისივე | „ | 40 |
| დედანი, მისივე | „ | 30 |
| შალვას თავ-გარდასავალი, გად. ცახელისა | „ | 20 |
| ლექსნი ალ. ჭავჭავაძისა | „ | 30 |
| თხზულებანი ანტონოვისა | 1 | „ |
| მეფე ლირი, შექსპირისა, ნათარგ. ი. მაჩაბლისა და ი. ჭავჭავაძისა | „ | 60 |
| სამ-გვარი სიყვარული, აკაკისა | „ | 30 |
| ვახუშტის ისტორია, დ. ბაქრაძის რედაქციით | 3 | „ |
| მშური სიტყვა | „ | 20 |
| ნაკვესი | „ | 20 |
| ქართული მწერლობა: | | |
| 1) გურამიშვილი | „ | 20 |
| 2) საბა სულხან ორბელიანი | „ | 15 |
| ქართული ქრისტომატია ნასიძისა | „ | 70 |
| საქართველოს საეკკლესიო ისტორია, მ. ჯანაშვილისა | „ | 45 |
| საქართველოს მოკლე ისტორია, მისივე | „ | 60 |
| დამაკვირდი, „ივერიის“ რედაქციის გამოცემა | „ | 50 |
| | მ. | კ. |
| ქილილა და დამანა. ვახტანგ მეექვსისა | 3 | › |
| ვისრამიანი, სარგის თმოგველისა | 1 | 50 |
| სიბრძნე-სიცრუე, საბა-სულხან ორბელიანისა | › | 50 |
| დავითიანი, დავით გურამიშვილისა | 1 | › |
| თამარ ბატონიშვილი, გრიგოლ რჩეულოვისა | 1 | › |
| ნაწერები ალექსანდრე ორბელიანისა | › | 50 |
| ნაწერები გრიგოლ ორბელიანისა | › | 30 |
| თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა | › | 40 |
| მეჯლანუაშვილი, არდაზიანისა | ‹ | 30 |
| დედა და შვილი, ილია ჭავჭავაძისა | › | 20 |
| რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, მისივე | › | 10 |
| სურამის ციხე, ჭონქაძისა | › | 20 |
| ბატონიშვილისპირველი დრო, ალ. ორბელიანისა | › | 30 |
| თხზულებანი, რაფიელ ერისთავისა | › | 1 |
| ნაწერები, ვახტანგ ორბელიანისა | › | 20 |
| ქართულიგამოცანები, რაფიელ ერისთავისა | › | 5 |
| იგავ-არაკი რაფიელ ერისთავისა | › | 25 |
| განკიცხული, მოხსუბარიძისა | › | 50 |
| ციკო, მისივე | › | 30 |
| პატარა ბიბლიოთეკა, იაკობ გოგებაშვილისა | › | 10 |
| მითრიდატ დიდი, დიმიტრი ბაქრაძისა | › | 10 |
| ბაგრატ მეოთხე, მისივე | › | 20 |
| მირიან მეფე და წმიდა ნინო, მისივე | › | 10 |
| ვახტანგ მეექვსე, მისივე | › | 1 |
| დარიგება მასწავლებელთათვის ი. გოგებაშვილისა | › | 15 |
| არითმეტიკა, დიდებულიძისა | › | 50 |
| არითმეტიკული გამოცანები, ივ. როსტომაშვილისა | › | |
| წითელი ფარანი, თარგმანი | › | 15 |
| ზაფხული, ჯუღელის რედაქციით | › | 2 |
| ხატაური, ანასტასია თუმანიშვილისა | › | 10 |
| ამბები ყრმათათვის, ან. ჯუღელისა | › | 5 |
| არსენას ლექსი | › | 5 |
| ბანჯგვლიანი ფუტკარი, თარგმანი | › | 15 |
| ქართული ანდაზები | › | 10 |
| თვალ-საჩინო სწავლა, მ. ჭიჭინაძისა | › | 4 |
| ირაკლი მეორის გლოვა | › | 5 |
| ალი, ნ. ლომაურისა | › | 30 |


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1888 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით | 10 მ. — კ. | 6 თთვით | 6 მ. — კ. |
| 11 „ | 9 „ 50 › | 5 „ | 5 „ 25 › |
| 10 „ | 8 „ 75 › | 4 „ | 4 „ 75 › |
| 9 „ | 8 „ — › | 3 „ | 3 „ 50 › |
| 8 „ | 7 „ 25 › | 2 „ | 2 „ 75 › |
| 7 „ | 6 „ 50 › | 1 „ | 1 „ 50 › |

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

*Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.*

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი —60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.


Доз. цен. Тиф. 6 ноября, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.